# THE ARTISTIC FUNCTIONS OF THE ELLIPSE IN FOLKLORE AND FICTION

# ელიფსის მხატვრული ფუნქციები ფოლკლორსა და მხატვრულ ტექსტში

**Tamar Gogoladze**
Doctor of Philological Sciences, Professor of Gori State Teaching University,
Gori, Chavchavadze st., №53, 1400, Georgia,
+995577251272, tamilagogoladze@gmail.com,
https://orcid.org/0000-0003-0450-2924

**Abstract.** The ellipsis has been used in the text since the ancient times as a means of conveying thoughts and ideas succinctly, in a way, it is a poetic device. It differs from other artistic methods as it is studied both in linguistics (punctuation when omitting a word or phrase in a sentence) and in literature. This article is dedicated to highlighting the functions of the ellipsis artistic load based on folklore examples and literary texts.

Comparative-typological and comparative methods are used.

In the main part, we tried to find an ellipsis in the materials existed before us by researchers and to examine its artistic functions very schematically. The main thing for us turned out to be that the ellipsis infrequently expresses a hint hidden in the given text, which is accompanied by a succinct expression of the meaning of this or that grammatical part of speech (mainly a verb, a pronoun). From the artistic functions of the ellipsis, the specificity of laconic transmission is significant which is observed in the folklore materials (mainly in proverbs) and carries a deeper, semantic meaning in Niko Lortkipanidze's work, which contributes to the artistic mastery of conveying the instantaneous perception of the impression characteristic of the impressionist style, which was evident even in the results we had made.

**Key words:** Ellipsis, Dynamism, Conciseness, Stylistic device, Grammatical function.

**თამარ გოგოლაძე**
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, გორის სახელმწიფო სასწავლო
უნივერსიტეტის პროფესორი, ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ., №53, 1400,
საქართველო, +995577251272, tamilagogoladze@gmail.com,
https://orcid.org/0000-0003-0450-2924

**აბსტრაქტი.** ელიფსისი უძველესი დროიდან გამოიყენება ტექსტში როგორც აზრის ლაკონურად, ერთგვარად შეფარულად გადმოცემის საშუალება - პოეტური ფიგურა. იგი განსხვავდება სხვა მხატვრული ხერხებისაგან იმითაც, რომ შეისწავლება როგორც ენათმეცნიერებაში (წინადადებაში სიტყვის ან ფრაზის გამოტოვებისას სასვენი ნიშნების მეშვეობით), ისე ლიტერატურათმცოდნეობაში. სწორედ ელიფსისის მხატვრული დატვირთვის ფუნქციების გამოკვეთა -გამოყოფას ფოლკლორულ მაგალითებსა და მხატვრულ ტექსტებზე დაყრდნობით ეძღვნება წინამდებარე სტატია.

გამოყენებულია შედარებით-ტიპოლოგიური და კომპარატივისტული მეთოდები.

ძირითად ნაწილში ვცადეთ მოგვეცა წარმოგვედგინა მკვლევართა მიერ ჩვენამდე არსებულ მასალაში ელიფსისის მოძიებისა და ძალზე სქემატურად, მისი მხატვრული ფუნქციების გამოკვლევის მცდელობა. ჩვენთვის მთავარი აღმოჩნდა, რომ ელიფსისი

არაიშვიათად გამოხატავს ავტორის მიერ მოცემულ ტექსტში დაფარულის მინიშნებას, რასაც ერთვის გრამატიკის ამა თუ იმ მეტყველების ნაწილით (ძირითადად ზმნის, ნაცვალსახელის) აზრის ლაკონურად გადმოცემა. ელიფსისის მხატვრული ფუნქციებისათვის დამახასია-თებელი მნიშვნელოვანი დინამიურობის, ლაკონურად გადმოცემის სპეციფიკია, რაც შეინიშნება ფოლკლორულ მასალაში (ძირითადად ანდაზებში) და უფრო ღრმა, სემანტიკური დატვირთვის მატარებელია ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებაში, რაც ხელს უწყობს იმპრესიონისტული მიმდინარეობისათვის დამახასიათებელი შთაბეჭდილების წამიერი აღქმის გადმოცემის მხატვრულ ოსტატობას, რომელშიც გამოიკვეთა კიდეც ჩვენს მიერ გაკეთებულ შედეგებში.

**საკვანძო სიტყვები:** ელიფსისი, დინამიურობა, ლაკონურობა, სტილური ხერხი, გრამატიკული ფუნქცია.

**შესავალი**. წინადადებაში ფრაზის შემოკლება, გამოტოვება შეინიშნება ჯერ კიდევ ფოლკლორში, შემდგომად მხატვრულ ტექსტში. იგი მოიხსენიება ბერძნული ტერმინით ელიფსისი, რომლის განმარტებაც ასეთია: „(ბერძნ. Elipsis - ამოვარდნა, გამოტოვება). სტილისტიკური ხერხი, პოეტური ფიგურა, როდესაც წინადადებაში გამოტოვებულია მისახვედრი სიტყვა“ (ჭილაია, 2003:41). იგი გვხვდება როგორც პოეზიაში, ისე - პროზაში. გრამატიკულად აღინიშნება ტირეთი (მრავალწერტილით) და ადვილად მისახვედრად გამოტოვებულია კავშირი, არსებითი სახელი, ზმნა თუ სხვ. ელიფსისი განსაკუთრებულად გამოყენებულია ზეპირ მეტყველებაში, რაც იძლევა საშუალებას აზრის მარტივად, ლაკონურად მიწოდებისათვის. მისი ფუნქციები ლიტერატურათმცოდნეობითი კუთხით, როგორც პოეტური ფიგურა, ნაკლებადაა განხილული სპეციალურ ლიტერატურაში. ძველ და ახალ ლიტერატურის თეორიის სახელმძღვანელოებსა თუ ლიტერატურათმცოდნეობით ლექსიკონებში გადმოცემულია განმარტების, მაგალითების მოშველიებით ფოლკლორიდან (ძირითადად ანდაზებიდან) და მხატვრული ტექსტებიდან (პოეზიიდან - ვაჟა-ფშაველასი, გალაკტიონ ტაბიძისა, კონსტა-ნტინე გამსახურდიასი). ნააზრევში გამოიკვეთება: ს. გაჩეჩილაძის „ლიტერატურის თეორიის“ სახელმძღვანელოში, „ელიპსისი იმით განსხვავდება შეწყვეტისაგან, რომ პირველის საშუალებით გამოტოვებული აზრი უფრო ადვილად მისახვედრია“ (გაჩეჩილაძე, 1952:116) და გვხვდება ჯერ კიდევ ს.ს. ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისასა“ და „მოგზაურობა ევროპაში“, „რომლის სიტყვების ელიპსისურ წყობას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს“ (გაჩეჩილაძე, 1957:323). ს. გაჩეჩილაძესთან ტერმინის ქართული სახელწოდება განსხვავებულია: ელიპსისი.

ანდრო ჭილაიას „ლიტერატურათმცოდნეობის ძირითად ცნებებში“ ავტორი მიანიშნებს განსხვავებაზე პოეტურ შეწყვეტა-გაჩუმებასა და ელიფსისს შორის, რაც „ფორმალური თვალსაზრისით ახლო ნათესაური კავშირია, პირველ შემთხვევაში სიტყვის გამოტოვება მრავალწერტილითაა აღნიშნული; ელიფსისში გამოტოვებული სიტყვის აღმნიშვნელია ტირე... პირველის ამოკითხვა უფრო ძნელია, მეორე შედარებით ადვილი მისახვედრი“. (ჭილაია, 1971:125).

ზემოდასახელებულ მკვლევართაგან განსხვავებით ნოდარ ჭოლოკავას რედაქციით გამოცემულ „ლიტერატურის თეორიის საფუძვლებში“ (1986) ელიფსისი ითვლება ისეთ პოეტურ ფიგურად“, რომელიც ათავისუფლებს ისეთი წევრებისაგან, რომლებიც აზრის გაგებისათვის აუცილებელნი არ არიან. სიტყვების ეკონომიით ელიფსისი გამოთქმას ლაკონურს ხდის და მის შეთვისებასაც აადვილებს... დიდია ელიფსისით შეკუმშული ფრაზის ემოციური გამომსახველობა“ (ლიტერატურის თეორიის საფუძვლები, 1986: 337-338).

ნ. გაფრინდაშვილისა და მ. მირესაშვილის „ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლებში“ ყურადღება ძირითადად გამახვილებულია მრავალწერტილზე, რომლის მეშვეობითაც გადმოიცემა გაჩუმება, ყურადღება სხვა მაგალითების გვერდით. გამოკვეთილია გაჩუმების მაგალითად - ნ. ლორთქიფანიძის შემოქმედება (ხაზი ჩვენია - თ.გ.), „მრავალწერტილს უმნიშვნელოვანეს ფუნქცია აკისრია ნ. ლორთქიფანიძის შემოქმედებაში. მისი საშუალებით ავტორი, ერთი მხრივ, ყურადღებას ამახვილებინებს მკითხველს ტექსტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან მომენტებზე და, მეორე მხრივ, საშუალებას აძლევს ავტორისეული მოკლე ფრაზები დამოუკიდებლად „შეავსოს“, ტექსტის ინტერმეტაციაში აქტიურად ჩაურთოს“ (გაფრინდაშვილი, მირესაშვილი, 2008:396) და მოყვანილია მაგალითი ნოველიდან „ტრაგედია „უგმიროთ“.

ზემოთმოყვანილიდან აშკარა ხდება, რომ ელიფსისის (ასე დავტოვოთ ჩვენს სტატიაში) ფუნქციები თითქმის არაა გამოკვეთილი და კლასიფიცირებული როგორც ფოლკლორში (ვგულისხმობთ ანდაზებს), ისე მხატვრულ ტექსტში (ვგულისხმობ ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებას), რაც საინტერესოა, როგორც ზეპირსიტყვიერების, ისე ერთი მწერლის და მიმართულების შიგნით ელიფსისის დასახასიათებლად. მითუმეტეს, რომ უცხოელი მკვლევარნი (ნ. ფ. ზლობინა, ი.ი. მინერალოვი) მიიჩნევენ ელიფსისს აუცილებელ პოეტურ ხერხად სახისმეტყველების სიღრმისეულად გადმოცემისათვის, ხოლო ვ. პ. ანიკინი არასწორად თვლის ლიტერატურათმცოდნეობით მიდგომას ფოლკლორისა და მხატვრული ტექსტისადმი. აქედან გამომდინარე იკვეთება წარმოჩინდეს ელიფსისის ფუნქციები ფოლკლორსა (ანდაზების მაგალითზე) და მხატვრულ ტექსტში (ნ. ლორთქიფანიძის „შემოქმედების“ მაგალითზე, რისი მცდელობაც გვექნება წინამდებარე სტატიაში).

**მეთოდი.** გამოყენებული იქნება შედარებით - ტიპოლოგიური და კომპარატივისტული მეთოდები.

**დისკუსია.** ფოკლორულისა მასალიდან ანალიზისათვის შერჩეულია ანდაზა / სიტყვის მასალა, რომელშიც ძირითადად ელიფსისია გამოყენებული. წინასწარი ხედვისათვის აუცილებელია მოიძებნოს კომუნიკაციური, მაგიური, ზნეობრივი, ექსპრე-სიული ფუნქციები ელიფსისა გარდა ამისა, მნიშვნელობა ენიჭება როგორც ლიტერა-ტურათმცოდნეობით კვლევას, ისე ლინგვისტურ მიდგომას, რაც ნაწილობრივ გამოკვეთს ფოლკლორულ ტექსტში ელიფსისის განსხვავებული ფუნქციური დატვირთვის (თუ არსებობს, იმ შემთხვევაში) აღმოჩენასაც.

ანდაზის შესწავლისათვის წყაროდ გამოყენებილია ლია ანდრონიკაშვილის მიერ 2014 წელს გამოცემული „ქართული ანდაზების“ კრებული და პეტრე უმიკაშვილის „ხალხური სიტყვიერება“.

ანდაზის აზრობრივი ფუნქცია თავისთავად მის შინაარსშია, რაც მოითხოვს პრაქტიკული გამოცდილების მეშვეობით განაზოგადოს შეგონება. ეს კი მოითხოვს მთქმელისაგან დიდ დაკვირვებასა და საკმაო გონებამახვილობას „ანდაზა სამაგალითო ბრძნული გამოთქმაა, რომელიც მოკლე სიტყვიერ ფორმულაში წარმოგვიდგენს მოქმედების, მდგომარეობის ან ურთიერთობის მხატვრულ განზოგადებას“ (ჩიქოვანი, 1956:294). ე. ტეილორის აზრით, იგი უნდა ჩამოყალიბებულიყო ცივილიზაციის განვითარების დასაწყისში, რაც წარმოშობის დღიდან დღემდე არ იცვლება. ანდაზაში ძირითადად მოჩანს ერის ესთეტიკური და ზნეობრივი დაკვირვება, რომელიც გადაჰყვება ტრადიციად მის მთელ ჩამომავალთ. მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ, თუმცა უბრალი ხალხის წრეში ჩამოყალიბდა იგი, მაინც არ გააჩნია ის გაჭიანურებული მანერა, რაც, განსაკუთრებით, მეტყველებაში იჩენდა თავს. ანდაზა ლაკონურია, მოქნილი, ადვილად დასამახსოვრებელი და ყოველივე ამას ახერხებს ფრაზაში სიტყვების სიმცირით. ამავდროულად ანდაზაში გამოტოვებული ადგილები მთქმელისა და გამგონის მიერ

ადვილად იშიფრება, დაკარგულია გამეორების საფრთხე და, რაც მთავარია, ადვილად გამოსაყენებადია.

ორშემადგენლიან ანდაზაში მეორე პირველს განმარტავს.

მოსწრებული სიტყვები ანუ სიტყვის მასალა უახლოვდება ანდაზას, თუმცა მათი გაიგივება არ შეიძლება. თუ ანდაზა დასრულებულ აზრს, ზოგად ფორმულას წარმოადგენს, სინტაქსურად სრული ერთეულია, „მოსწრებული სიტყვა კი იძლევა რა კონკრეტულ მითითებას, გადმოიცემა წინადადების ერთი ნაწილით“ (ჩიქოვანი, 1956:301). მ. ჩიქოვანი თვლის, რომ ანდაზა და მოსწრებული სიტყვები ერთად არ უნდა იყოს მოქცეული.

რა როლი უკავია ანდაზაში ელიფსისს? ამაზე პასუხს თვით მაგალითი მოგვცემს. მაგ.: „ათნი ერთ ცხვარს ეხვევოდნენ და - ვაი ჩვენს უკაცურობასაო“ (ქართული ანდაზები, 2014:11). აქ ელიფსისი თითქოს ორ, სხვადასხვა მნიშვნელობის წინადადებას აერთებს და, ამავდროულად, თიშავს სასვენი ნიშნით (-). მაგრამ აზრი უფრო ღრმაა და გულისხმობს: ერთ ცხვარს დახვეულ ათ კაცს, რომელთაც მისი გატყავება მოუსრუვებიათ. მეორე ნაწილი კი ამონათქვამია, გლოვითი ამოძახილია ამ ათ კაცს შორის ერთიც რომ არ უქნია ღმერთს, ანუ კაცი ვერ კაცობს, ანუ ათი ადამიანიდან არცერთი არაა კაცური თვისებების მქონე. ელიფსისით აქ კაც-ადამიანთა ზნეობრიობაზე მინიშნებაა, მაგრამ რა უნდა იყოს გამოტოვებული? სავარაუდოდ: ეს ხდება მაშინ, როცა ათში ერთიც არაა ღირსეული კაცი. აქ კიდევ მეტი სათქმელიც შეიძლება იგულისხმებოდეს, უფრო ვრცელი, მაგრამ სწორედ ელიფსისმა გააგებინა მსმენელს, როგორი უნდა იყოს ადამიანი.

იგივე ფუნქცია აქვს ელიფსისს ანდაზაში: „ეს ისაო, ეს ესაო - გამოიფხიკა ქისაო“ (ქართული ანდაზები, 2014:101). ანდაზის პირველი წევრი ადამიანის მფლაგველ, ან სულაც ხარჯიან ცხოვრებაზე მიანიშნებს, მეორე ნაწილი კი იძლევა ამ ხარჯვების შემდეგ შემოსავლის გაცამტვერებას.

ზნეობრივ - დამრიგებლობითი ფუნქცია ელიფსისა ბევრია ქართულ ანდაზაში, სამაგიეროდ ცოტაა მაგიური ფუნქციის მატარებელი რელიგიურ დღესასწაულთან დაკავშირებით ერთი ასეთი ანდაზა მოვიძიეთ პ. უმიკაშვილის მიერ შეკრებილი „ხალხური სიტყვიერების“ II ტომის გამოცემაში: „ვინც აღების ღამეს გასქდაო, ცხონდაო, ვინც აღდგომასაო - ჯოჯოხეთში წავიდაო“ (უმიკაშვილი, 1964:229).

ანდაზა მიანიშნებს ქრისტიანს, რომ სააღდგომო მარხვის დარღვევა მავნებელია და ჯოჯოხეთი უწინასწარმეტყველეს. ამჯერად ელიფსისმა შეასრულა რელიგიურ-მაგიურ-დამრიგებლობითი ფუნქცია.

ელიფსისის ექსპრესიული ფუნქცია ხშირად გვხვდება ქართულ ანდაზაში, აქ ზოგჯერ გაახალისებს მსმენელს, ზოგჯერ დააღონებს. მაგალითისათვის რამდენიმე ანდაზა შეიძლება დასახელდეს: „რითა ცხოვრობ და- ვალითო, რას სჭამ და - მოხრაკულებსო“ (ქართული ანდაზები, 2014:259). „სიძის სიძე - წვენის წვენი“ (ქართული ანდაზები, 2014:287). „ქვეყანაზე ათი წილი ნდომაა: ერთი წილი კაცსა აქვს, დანარჩენი - დედაკაცსაო“ („ქართული ანდაზები“, 2014: 323).

ანდაზის შემქმნელი ცდილობს ნაკლებესთეტიკური შედარებები და შეგონებები არ მოიყვანოს. ამიტომ ანდაზას დაბალი წოდების ადამიანიც მიიღებს და გაავრცელებს და მაღალი წრისაც. ასე იყო საუკუნეთა მანძილზე და სადღეისოდაც მაგრამ აუცილებელია აღინიშნოს, რომ ელიფსი ძირითადად გამოტოვებული ზმნის მეშვეობით იძენს ამ ფუნქციებს. მაგალითად, ანდაზაში „აქლემს ასი აზრი ჰქონდა, აქლემის პატრონს - არცერთი“ (ქართული ანდაზები, 2014:25). აქ „ჰქონდა“ ზმნა მთავარია, რათა მსმენელმა აღიქვას, რა შეიძლება ცხოველმა ივარაუდოს და რა ადამიანმა. მაგრამ განზოგადოების საფუძვლზე აშკარა ხდება, რომ მიანიშნებს მსმენელს - ყველაფერს ვერ გაითვალისწინებ სხვის ნაფიქრალში.

ამდენად გამოიკვეთა ელიფსისის ორი ძირითად ფუნქცია ქართულ ანდაზაში: ზნეობრივ-დამრიგებლობითი და ექსპრესიული.

როგორაა ელიფსის ფუნქციები მხატვრულ ტექსტში? საკმაოდ ვრცელია ელექტრონული წყაროების მინიშნებანი. ამ კუთხით ლიტერატურის თეორიის სახელმძღვანელოებსა თუ ენციკლოპედიურ ცნობარებსა თუ ლექსიკონებში მწირი მასალაა ანალიზის გარეშე. სანიმუშოდ მოყვანილია ვაჟა-ფშაველას (პოეტური), გ. ტაბიძის (პოეტური), კ. გამსახურდიას (პროზაული) ტექსტების ნაწყვეტები. კ. გამსახურდია არცთუ ხშირად მიმართავს ელიფსისს თავის შემოქმედებაში, მოყვანილია ყველგან ნაწყვეტი მისი „ხოგაის მინდიადან“.

„რა იქნებოდა უვარსკვლავოდ ცათა სილურჯე, რა იქნებოდა უჯიხვებოდ კავკასიონი“. შავი არაგვი -უკალმახო, ქარი უსუნთქო, გველი - უშხამო, თევზი - უფხო, მგელი - უკბილო, ძროხა - უცურო, ჯიხვი - ურქო და ორბი - უფრთო, ვეფხვი - უჭანგო, დღე-უნათლო, მზე - უსხივო, ხმალი - უვადო და ხევსური - ფარხმალ აყრილი (გამსახურდია, 1959:191).

რ. ჭილაიას წიგნში ეს მაგალითი მოყვანილია ელიფსისის გაჩუმებისაგან განსხვავების მიზნით: „ენათესავება გაჩუმებას. პირველის ამოკითხვა უფრო ძნელია, მეორე შედარებით ადვილი მისახვედრია (ჭილაია, 2003: 41).

საქმე იმაშია, რომ მოყვანილი ნაწყვეტი ამოგლეჯილია ტექსტიდან, რომელიც მინდიას რიტორიკული შეძახილის ნაწილია და ხსნის მის მიერ ველის ყვავილებისაგან დაცლას, რადგან გრძნობს უკმარისობას მათ არსებობაში. ეს ავტორს დაჭირდა მინდიას გარეშე არსებული სამყაროს ერთმანეთში ჰარმონიული გარდასახვის აუცილებლობის დასადასტურებლად და საკმაოდ გვიდასტურებს ელიფსისის კიდევ ერთ ფუნქციას - მთავარი აზრი მინდიას სამყაროსთან დამოკიდებულებისა გახსნას მარტივი მაგალითით რთული ფილოსოფიური განყენებული აზრის გამოსახატავად, რაც წარმოადგენს ვაჟასეული ბრძნული ფრაზის „ბუნება მბრძანებელია, იგივ მონაა თავისა“ განმარტებას.

ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებაში ელიფსისი არამცთუ მისი სტილის ნაწილია, არამედ თვით იმ მიმართულების პრაქტიკული გამოხატულებაც, რისი წარმომადგენელი იყო თვით ავტორი.

კ. გამსახურდია თავის თეორიულ წერილში „იმპრესიონიზმი და ექსპრესიონიზმი“ (1922) გამოკვეთდა ფაქტს, რომ იმპრესიონიზმისათვის დამახასიათებელია „სიტყვის ლოთობა და სიტყვის კულტი!... მუსიკა მათრობელა სიტყვებისა... სიმბოლიზმმა დიდი სამსახური გაუწია მწერლობას ფორმის დასრულებით“ (გამსახურდია, 1983:423). სწორედ აქ წარმოჩინდა ნ. ლორთქიფანიძის სტილის თავისებურებაც („შელოცვა რადიოთი, „ტრაგედია უგმირობ“, „გული“ და სხვ.), ფორმის ორიგინალობას ჩვენს წინამდებარე სტატიაში ელიფისის ფუნქციის მოშველიებით ვხსნით მისი ფუნქციური დატვირთვის ერთი მხარის წარმოჩენით. ანალიზისათვის ავიღებთ „თავსაფრიან დედაკაცს“.

მშვენიერი ნოველა 1925 წელსაა შექმნილი და სწორედ მასში ერთი ადამიანის ცხოვრების გზის ჩვენებას ავტორი არატრადიციული სტილური საღებავებით გადმოსცემს. მათ შორისაა ელიფსისი. თავსაფრიანის ქორწილის შემდგომი პერიოდის ეპიზოდში (2) მოჩანს მისი დაფეხმძიმება და შვილების შეძენა:

„კაი ხორგოს გამოდგენ:
სამი წელი -
სამჯერ გამოწეული მუცელი და შეზნექილი წელი,
სამჯერ ჭორფლი და მჟავე კიტრი;
ჩქარობდნენ თითქოს“.
(ლორთქიფანიძე, 1978:78).

5 ფრაზით გადმოცემულ მონაკვეთში ელიფსისი გამოდის „მთავარ როლში“. ვერაფრით გაიგებს მკითხველი, მაგრამ მიხვდება, რომ სამ წელიწადში ახლადქორწინებულნი კარგი ჯიშის გამოდგნენ: „კაი ხორგოს გამოდგენ“. აქ გამოყენებულია დიალექტური ფორმა - ხორგოს, რაც „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონაში“ განმარტებულია, როგორც ლეჩხუმურ დიალექტზე „დიდი საწნახელი“. ეს

თითქოს კიდევ უფრო გაუგებარს ხდის აზრს, მაგრამ თუ ამ სიტყვას სინონიმურ მნიშვნელობად დიდ ოჯახს მივუსადაგეთ, მივხვდებით, რომ ნ. ლორთქიფანიძემ ახალი მნიშვნელობა მოძებნა თავისი ტექსტისათვის - ჯიშ-ჯილაგის, დედის შვილიერებით სავსე წიაღის გადმოსაცემად. სამი წელი - აქ უნდა ვიგულისხმოთ ელიფსისით (_) გადმოცემული - სამ წელიწადს ჰქონდა ფეხმძიმობა ზედიზედ. ხოლო მომდევნოში „სამჯერ გამოწეული მუცელი და შეზნექილი წელი“ - უკვე გაშლილია. აქ ეპითეტების (მარტივი ეპითეტებით) გამოყენებით მკითხველს წარმოუდგება ფეხმძიმე ქალი (ზოგადი და ამავე დროს კერძო - თავსაფრიანი). „სამჯერ ჭორფლი და მჟავე კიტრი“. ამ ფრაზაში უკვე, თითქოს გარეგანი გამოხატულებაც არის - სახეზე ჭორფლი და მოთხოვნილება მჟავე კიტრზე. აქ არსადაა ელიფსისის აღმნიშვნელად ტირე, გამოყენებულია ამის შემდეგ ორწერტილი, რომელშიც ისევ ელიფისის - თითქოს ცოლ-ქმარი ჩქარობდა მოესწროთ. ამდენად მოყვანილ ტექსტში იმალება ის ჯადო-ძალა, რაც აბსოლიტურად განსხვავებულად მალავს, მაგრამ მკითხველისათვის სახოვანს ქმნის ელიფისისით გამოტოვებულს ამიტომ ფრაზაში „სამი წელი“ - ტირე გახსნილია მომდევნო სამი წინადადებით, მაგრამ ისინიც ელიფისისით შემოკლებულია და არაა გამოყენებული გამოტოვების ნიშანი - ამის შემდგომ ავტორი უკვე თითქმის ყველა ნაწილში იყენებს ელიფსისით დაფარულს, მაგრამ ადვილად გასაგებს:

„სადედოფლო:
მაქვა და თითისტარი,
კეცი და ჩოგანი,
ლარი და საჩეჩელი,
პრასი და ოხრახუში“
(ლორთქიფანიძე, 1978: 78)

მესამე ნაწილში ნ. ლორთქიფანიძე უკვე ტირეს მიმართავს ელიფსისათვის.

„და თვით ეცა უძინარი:
კარგი სიმინდი - ნალიაში;
უვარგისი - სხვენზე;
ფუჩეჩი - საბძელში
მიეგდო ხის ძირში გასაოთებული, ოფლით,
გახვითქული
ადგა მთქნარებით - ისევ სამუშაოთ, მაგრამ...
(ლორთქიფანიძე, 1978:79)

აქ უკვე მთელი ძალით იშლება ელიფსისით დაფარული, რასაც ბოლოში გაჩუმება ეშველება „მაგრამ...“ - ამ სიტყვაში დაფარულია ის, რაც მკითხველს შეუქნის განწყობას, ყოველივე ზემოთქმულს უნდა მოჰყოლოდა გაციება, ავად გახდომა, რაც დაფარა გაჩუმებამ.

ელიფსისი აქ მოგევლინა უკიდურესად საჭიროა, იქნებ თხრობითი, ემოციური თხრობითი ფუნქციით, რაც ფოლკლორშიც გვხვდება და მხატვრულ ტექსტში კიდევ მეტი სიმძლავრით გაიშალა.

ნ. ლორთქიფანიძის დანარჩენ ნოველებში ელიფსისის მოძიება - კვლევა შემდგომი შესწავლის საგნად წარმოგვიდგება.

**დასკვნები**. ელიფსისის, ფუნქციების მოძიებამ ფოლკლორსა და მხატვრულ ტექსტში (ნ. ლორთქიფანიძის „თავსაფრიანი დედაკაცის“ ნაწყვეტების მაგალითზე) ცხადყო მისი მხატვრული ფუნქციების სპეციფიკა: მაგიური, ზნეობრივ-დამრიგებლობითი, ექსპრესიული, კომუნიკაციური (ფოლკლორში) და სტილურ - გამომხატველობითი მხატვრულ ტექსტში (ნ. ლორთქიფანიძის მაგალითზე), რაც ცხადყოფს მის განსაკუთრებულ მხატვრულ დანიშნულებს და ქმნის ჰიპოთეზას შესწავლილი იქნეს იგი სიღრმისეულად.

## დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა


გამსახურდია, კ. (1959). *რჩეული თხზულებანი.* II. თბილისი: საბჭოთა საქართველო.

გამსახურდია, კ. (1983). *თხზულებანი.* VII. თბილისი: საბჭოთა საქართველო.

გაფრინდაშვილი, ნ., მირესაშვილი მ. (2008). *ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები.* თბილისი.

გაჩეჩილაძე, ს. (1952). *ლიტერატურის თეორია.* თბილისი: სახელგამი.

გაჩეჩილაძე, ს. (1957). *ლიტერატურათმცოდნეობის შესავალი.* თბილისი: სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა.

*ლიტერატურის თეორიის საფუძვლები.* (1986). თბილისი: განათლება.

ლორთქიფანიძე, ნ. (1978). *ერთტომეული.* თბილისი: მერანი.

უმიკაშვილი, პ. (1964). *ხალხური სიტყვიერება.* II. ლიტერატურის ინსტიტუტი. თბილისი.

*ქართული ანდაზები.* (2014). თბილისი.

*ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა.* (1984). თბილისი: განათლება.

ჩიქოვანი, მ. (1956). *ქართული სიტყვიერების ისტორია.* თბილისი: სამეცნიერო-მეთოდ კაბინეტის გამომცემლობა.

ჭილაია, ა. (1971). *ლიტერატურათმცოდნეობის ძირითადი ცნებები.* თსუ. თბილისი.

ჭილაია, რ. (2003). *ლიტერატურათმცოდნეობა - ენციკლოპედიური ცნობარი.* თბილისი.


## REFERENCES


gamsakhurdia, k'. (1959). *rcheuli tkhzulebani. [Selected Works].* II. Tbilisi: Sabchota Saqartvelo.

gamsakhurdia, k'. (1983). *tkhzulebani. [Works].* VII. Tbilisi: Sabchota Saqartvelo.

gaprindashvili, n., miresashvili m. (2008). *lit'erat'uratmtsodneobis sapudzvlebi. [Foundation of Literary Studies].* Tbilisi.

gachechiladze, s. (1952). *lit'erat'uris teoria. [Theory of Literature]* Tbilisi: Sakhelgami.

gachechiladze, s. (1957). *lit'erat'uratmtsodneobis shesavali. [Introduction to Literary Studies].* Tbilisi: Sametsniero-metoduri Kabinetis Gamomtsemloba.

*lit'erat'uris teoriis sapudzvlebi. [Foundations of Theory of Literature].* (1986). Tbilisi: Ganatleba.

lortkipanidze, n. (1978). *ertt'omeuli. [One-Volumed].* Tbilisi: Merani.

umik'ashvili, p'. (1964). *khalkhuri sit'qviereba. [Folk speech].* II. lit'erat'uris inst'it'ut'i. tbilisi.

*kartuli andazebi. [Georgian proverbs].* (2014). Tbilisi.

*kartul k'ilo-tkmata sit'qvis k'ona. [Collections of the words of the Georgian dialects].* (1984). Tbilisi: Ganatleba.

chikovani, m. (1956). *kartuli sit'qvierebis ist'oria. [History of the Georgian Speech].* Tbilisi: Sametsniero-metod Kabinetis Gamomtsemloba.

ch'ilaia, a. (1971). *lit'erat'uratmtsodneobis dziritadi tsnebebi. [Key notions of the Literary Studies].* tsu. Tbilisi.

ch'ilaia, r. (2003). *lit'erat'uratmtsodneoba - entsik'lop'ediuri tsnobari. [Literary Studies – Encaeclopedical reference book].* Tbilisi.